ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ციცინო ცხვედიანი

კომისიის წევრი: გია ტაბლიაშვილი

კომისიის წევრი: პავლე აბაიაძე

კომისიის წევრი: თეა ჭეიშვილი

კომისიის წევრი: ნელი ვარდიაშვილი

კომისიის წევრი: გიორგი ტურაზაშვილი

კომისიის წევრი: ნათია კორკოტაძე

კომისიის წევრი: თორნიკე ბაქრაძე

კომისიის წევრი: ია გაბედავა

კომისიის წევრი: სულხან ონიანი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.04.2016

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 006/16

შეკითხვა:

მოგეხსენებათ არსებობს კანონი ,,ფსიქიატრიული დახმარების შესახებ „ .

დასახელებული კანონის მიხედვით, ფსიქიური აშლილობის მქონე ისეთი პირი რომელიც თავისი მოქმედებებით საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან მესამე პირებს და რომელსაც არ შეუძლია გაიგოს თავისი მდგომარეობის მნიშვნელობა შესაძლებელია მოთავდეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობისათვის არაუმეტეს 6 თვისა.

ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებითი მოთავსება ხდება ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლის ბრძანებით (გადაწყვეტილებით) მას შემდეგ რაც იგი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ატარებს გასვლით სხდომას .

კანონის თანახმად, თუ პაციენტს რომლის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებითი მოთავსების საკითხიც იხილება სასამართლო, პროცესზე არ ჰყავს ადვოკატი, მოსამართლე დაუნიშნავს ადვოკატს სახაზინო წესით.

როდესაც პაციენტს დაენიშნება ადვოკატი, ადვოკატი სხდომის დაწყებამდე ხვდება კლიენტს, ხოლო შემდეგ, პროცესის მსვლეობისას სპეციალისტების, ექსპერტების, ოჯახის წევრების დაკითხვისა და სამედიცინო დასკვნების გაცნობის შედეგად იქმნის რწმენას მის კლიენტს სჭირდება თუ არა კლინიკაში მოთავსება.

ხშირად პაციენტის ფსიქიური ავადმყოფობა ისეთი მწვავე ფორმებით არის გამოხატული (მაგალითად: მოსამართლეს მიიჩნევს ,,სტალინად", საკუთარ თავს რომის იპერატორად, ადვოკატს საკუთარ შვილად, აცხადებს რომ მოკლა კონკრეტული თანამდებობის პირი როდესაც ეს პირი ცოცხალია, არის აგრესიული, ამტვრევს ნივთებს, გარშემომყოფებს აყენებს სხეულის დაზიანებას, მომართულია ნებისმიერი მესამე პირის ცემისკენ და ა.შ) რომ ნებისმიერი არასპეციალისტი პირისათვისაც ცხადია, რომ აუცილებელია მისი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსება.

მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, აბსოლუტურად ყველა პაციენტი ადვოკატთან აფიქსირებს რომ იგი ჯანმრთელია და არ სურს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსება.

ისეთ შემთხვევაში როდესაც ,

1. პაციენტის მწვავე მდგომარეობიდან გამომდინარე ადვოკატისთვის აშკარაა პაციენტის მკურნალობის საჭიროება, მიუხედავად პაციენტის თანხმობის არ არსებობისა თუ ადვოკატი პროცესზე დაეთანხმება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მისი კლიენტის მოთავსების შუამდგომლობას მისი მხრიდან ექნება თუ არა ადვოკატთა ეთიკის კოდექსის დარღვევას ადგილი ?
2. პაციენტის მწვავე მდგომარეობიდან გამომდინარე ადვოკატისთვის აშკარაა პაციენტის მკურნალობის საჭიროება და იმ მოტივით, რომ პროცესზე დამსწრე პაციენტის ფსიქიკას არ მიაყენოს ზიანი, კიდევ უფრო არ გაამწვავოს მისი ფსიქიკური მდგომარეობა, არ აფიქსირებს, რომ თანახმაა მისი კლიენტის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განთავსებაზე, ხოლო შემდეგ სასამართლოს გადაწყვეტილებას განთავსების თაობაზე არ გაასაჩივრებს სააპელაციო წესით, ადვოკატის მხრიდან ექნება თუ არა ადვოკატთა ეთიკის კოდექსის დარღვევას ადგილი ?

ანალიზი:

"ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტი: „რეკომენდაცია არის ეთიკის კომისიის მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. რეკომენდაცია წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს და შეიცავს მოსაზრებას, შეკითხვაში გადმოცემული შესაძლო ქმედება არის თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა."

"ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 45-ე მუხლის 5-ლი პუნქტი: „შეკითხვაზე, რომელიც ეხება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექის ნორმების განმარტებას, არ არის დადგენილი ეთიკის კომისიის პრაქტიკით და საკითხის სირთულით ხასიათდება, რეკომენდაციას მოამზადებს ეთიკის კომისია არანაკლებ რვა წევრის მონაწილეობით."

განსახილველ შემთხვევაში, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ შეკითხვაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები არ არის საკმარისი კომისიის მიერ სარეკომენდაციო პასუხის გასაცემისათვის სრულფასოვანი სურათის შესაქმნელად. ეთიკის კომისიის შეფასებით ადვოკატის შეკითხვა შეიცავს ადვოკატის სტრატეგიის და ტაქტიკის შემცველ ელემენტებს და ამ მოცემულობით, კომისია ვერ შეაფასებს ადვოკატის შეკითხვაში მოცემულ გარემოებას. შესაბამისად, ვერ გაიცემა სარეკომენდაციო გადაწყვეტილების სტანდარტის შესაბამის პასუხი.

ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ შეკითხვა არ შეიცავს იმ გარემოებებს, რომლებიც კომიისათვის რეკომენდაციის გაცემის სტანდარტს დააკმაყოფილებდა. როგორც აღინიშნა, შეკითხვაში მითითებულ გარემოებებზე რეკომენდაციის გაცემა შესაძლოა გულისხმობდეს ადვოკატის სტრატეგიისა და ტაქტიკის დეტალების განსაზღვრას, რისი უფლებაც, კანონის მიხედვით, ეთიკის კომისიას არ აქვს. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მომართვა კონკრეტული საჩივრით და დაიწყება საქმის განხილვა, კომისია მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, საქმის სპეციფიკისა და მასში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

დასკვნა:

შეკითხვაში მოცემული ფაქტობრივი გარემოებები არ არის საკმარისი სრული სურათის შესაქმნელად, ეთიკის კომისიის მიერ სარეკომენდაციო პასუხის გასაცემად. მოცემულ შეკითხვაში მითითებულ გარემოებებზე რეკომენდაციის გაცემა შესაძლოა გულისხმობდეს ადვოკატის სტრატეგიისა და ტაქტიკის დეტალების განსაზღვრას, რაც არ არის ეთიკის კომისიის კომპეტენციის ფარგლები. კამონმდებლობით დადგენილი წესით, ეთიკის კომისიისადმი კონკრეტული საჩივრით მომართვის შემთხვევაში, ეთიკის კომისია საჩივარში არსებული კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების და საქმის მასალების სრულფასოვანი შესწავლის შემდეგ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კომისიის წევრი: /გია ტაბლიაშვილი/

კომისიის წევრი: /პავლე აბაიაძე/

კომისიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კომისიის წევრი: /ნელი ვარდიაშვილი/

კომისიის წევრი:	/გიორგი ტურაზაშვილი/
კომისიის წევრი:	/ნათია კორკოტაძე/
კომისიის წევრი:	/თორნიკე ბაქრაძე/
კომისიის წევრი:	/ია გაბედავა/
კომისიის წევრი:	/სულხან ონიანი/